საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატში მიმდინარე ორგანიზაციული ცვლილებების ფარგლებში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში მოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომის

ოქმი N1

12 დეკემბერი, 2016 წ

ქ. თბილისი

2016 წლის 12 დეკემბერს ჩატარდა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატში მიმდინარე ორგანიზაციული ცვლილებების ფარგლებში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში მოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის[1] სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ:

ვახტანგ აბაშიძე, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე
კახი ბექაური, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრი (თავმჯდომარის მოადგილე)
მერაბ ქათამაძე, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრი
გიორგი ფრუიძე, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრი

სამდივნო: თამარ ჭელიძე, კომისიის კონსულტანტი რეორგანიზაციის სამართლებრივ საკითხებში
თამარ ბოკუჩავა, კომისიის კონსულტანტი რეორგანიზაციის საკითხებში

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომა უფლებაუნარიანია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის 8 დეკემბრის N802/22 გადაწყვეტილებით დამტიცებული საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატში მიმდინარე ორგანიზაციული ცვლილებების ფარგლებში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში მოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების (შემდგომში „საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულება“) მე-5 მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მუშაობის საპროცედურო-საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებული საკითხების განხილვა;
2. მოქმედი და ახალი საშტატო ნუსხებით გათვალისწინებული თანამდებობების შედარებითი ანალიზი - სარეკომენდაციო სახის სახელმძღვანელო დოკუმენტის დამტკიცება;
3. ატესტაციის წესის მეორე - გასაუბრების ეტაპის შემაჯამებელი ფორმის ნიმუშის დამტკიცება;
4. საკონკურსო-საატეტესტაციო კომისიის დებულების მე-9 მუხლით გათვალისწინებული დასკვნების მიღების წესის შესახებ.

[1] საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის 2015 წლის 21 დეკემბრის N 6/31 ბრძანება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიაში საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შექმნის შესახებ.

1 საკითხი:

საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ განიხილა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მუშაობასთან დაკავშირებული საპროცედურო-საორგანიზაციო საკითხები. კერძოდ, აუცილებელია განისაზღვროს გასაუბრებებისთვის, დასაქმებულთა შედეგების შეჯამებისა და შესაბამისი დასკვნების გამოტანისთვის საჭირო დრო, ასევე სამდივნოს მიერ შედეგების ოქმსა და საატესტაციო ფურცელში ასახვისთვის აუცილებელი დრო; ასევე დასაქმებულის მიერ აუდიოჩაწერის მოთხოვნის შემთხვევაში, ჩაწერის ორგანიზების პროცედურული საკითხები.

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების მე-5 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ ერთხმად

გადაწყვიტა:

a) თითოეულ დასაქმებულთან გასაუბრებების ხანგრძლივობა განისაზღვროს - დაახლოებით 30 წუთით;
b) გასაუბრების შემდგომ საკონკურსო-საატესტაციო კომისიისთვის დასაქმებულის შეფასების შეჯამების თაობაზე მსჯელობისთვის დროის ხანგრძლივობა განისაზღვროს - დაახლოებით 10 წუთით
c) გასაუბრების ეტაპის შემაჯამებელი ფორმის შედგენისთვის დრო განისაზღვროს - დაახლოებით 5 წუთით;
d) საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოს მიერ სხდომის ოქმის შედგენა და ხელმოწერა - განხორციელდეს სამუშაო დღის ბოლოს;
e) დასაქმებულის მიერ აუდიოჩაწერის მოთხოვნის შემთხვევაში, საკონკურსო-საატესტაციო კომისია დაუყოვნებლივ მიმართავს თხოვნით საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს აუდიოჩაწერის წარმოების ორგანიზების მიზნით შესაბამისი სპეციალისტის მოწვევის თაობაზე.

2 საკითხი:

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ დასაქმებულთა შესაბამისობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს მოქმედი და ახალი საშტატო ნუსხებით განსაზღვრული პოზიციების თანამდებობრივი ინსტრუქციების შედარებას.

ამ მიზნით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის 27 ოქტომბრის სხდომის დავალების შესაბამისად (იხ. კომისიის გადაწყვეტილება 708/22, მე-6 პუნქტი) კომისიის კონსულტანტმა რეორგანიზაციის საკითხებში (თ. ბოკუჩავა) მოამზადა და საკონკურსო-საატესტაციო კომისიას წარუდგინა საკონსულტაციო დოკუმენტი: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის 2010 წლის 22 მარტის 144/22 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საშტატო ნუსხით განსაზღვრული პოზიციების და 2016 წლის 27 ოქტომბრის 708/22 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საშტატო ნუსხით განსაზღვრული პოზიციებისა და კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 12 დეკემბრის 6/28 ბრძანებით დამტკიცებული

თანამდებობრივი ინსტრუქციების შედარებითი ანალიზი“ (დანართი 1) და დეტალური ანალიზი დეპარტამენტების მიხედვით (იხ. დანართი 2).

საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ განიხილა წარმოდგენილი დოკუმენტი და მიაჩნია, რომ:

ა) უნდა დამტკიცდეს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის 2010 წლის 22 მარტის N144/22 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საშტატო ნუსხით განსაზღვრული პოზიციების და 2016 წლის 27 ოქტომბრის N708/22 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საშტატო ნუსხით განსაზღვრული პოზიციებისა და კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 12 დეკემბრის N6/28 ბრძანებით დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციების შედარებითი ანალიზი როგორც სარეკომენდაციო სახის სახელმძღვანელო დოკუმენტი (დანართი 1).

ბ) დეტალური ანალიზი დეპარტამენტების მიხედვით (დანართი 2) საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ გამოყენებულ იქნეს საკონსულტაციოდ თითოეულ დასაქმებულის შესაბამისობის დადგენის ეტაპზე.

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების მე-5 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ ერთხმად

გადაწყვიტა:

ა) დამტკიცდეს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის 2010 წლის 22 მარტის N144/22 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საშტატო ნუსხით განსაზღვრული პოზიციების და 2016 წლის 27 ოქტომბრის N708/22 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საშტატო ნუსხით განსაზღვრული პოზიციებისა და კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 12 დეკემბრის N6/28 ბრძანებით დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციების შედარებითი ანალიზი როგორც სარეკომენდაციო სახის სახელმძღვანელო დოკუმენტი (დანართი 1).

3 საკითხი:

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, სამდივნომ წარმოადგინა გასაუბრების ეტაპის შემაჯამებელი ფორმის ნიმუში (დანართი 3).

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების მე-5 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ ერთხმად

გადაწყვიტა:

დამტკიცდეს დანართი 2-ის სახით წარმოდგენილი გასაუბრების ეტაპის შემაჯამებელი ფორმის ნიმუში.

4 საკითხი:

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრებმა განიხილეს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატში მიმდინარე ორგანიზაციული ცვლილებების ფარგლებში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში მოქმედი საკონკურსო-საატეტესტაციო კომისიის დებულების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-9 მუხლით განსაზღვრული გადაწყვეტილებების მიღების წესი. კერძოდ, მე-9 მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში:

„3. მოქმედი საშტატო ნუსხით განსაზღვრული თანამდებობა ითვლება გაუქმებულად და/ან შემცირებულად თუ:

3.1. მოქმედი საშტატო ნუსხით განსაზღვრული თანამდებობა ახალი საშტატო ნუსხით გათვალისწინებული არ არის არსებითად იგივე ფუნქციით და რანგით და ახალ საშტატო ნუსხაში წარმოდგენილია:

ა) არსებითად მსგავსი ფუნქციებით, მაგრამ განსხვავებული (მაღალი ან დაბალი) რანგით;

ბ) ნაწილობრივ მსგავსი ფუნქციებით, იგივე, მაღალი ან დაბალი რანგით.

3.2. მოქმედი საშტატო ნუსხის არსებითად მსგავსი ფუნქციითა და იგივე რანგის შესაბამისი თანამდებობა ახალი საშტატო ნუსხით გათვალისწინებული არ არის.

მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევების დადგომისას, საკონკურსო-საატესტაციო კომისია ხელმძღვანელობს ამავე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტით დადგენილი დებულებებით, რომელთა თანახმადაც,

„4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის 3.1. ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საკონკურსო-საატესტაციო კომისია ადგენს დასაქმებულის შესაბამისობას დასაკავებეულ თანამდებობასთან, თუ მისი კომპეტენცია (კვალიფიკაცია, გამოცდილება და პროფესიული უნარ-ჩვევები) შეესაბამება ახალი საშტატო ნუსხით განსაზღვრული თანამდებობისთვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტის 3.2. ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საკონკურსო-საატესტაციო კომისია იმსჯელებს დასაქმებულისთვის მისი კომპეტენციის (კვალიფიკაცია, გამოცდილება და პროფესიული უნარ-ჩვევები) ახალი საშტატო ნუსხით განსაზღვრულ რომელიმე თანამდებობისთვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე, ასეთი შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში.“

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ იგი მიღებულია სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობის მიერ. საკონკურსო-საატესტაციო კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია დებულების ამ მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების/დასკვნის მიღების წესის დაზუსტება ზემოაღნიშნული სპეციფიკიდან გამომდინარე.

კერძოდ, საკონკურსო-საატესტაციო კომისიას მიაჩნია, რომ დასაქმებულთა შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა მე-9 მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში უნდა განხორციელდეს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრთა კონსენსუსის (ხუთივე წევრის თანხმობის) გზით.

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების მე-5 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ ერთხმად

გადაწყვიტა:

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ დასაქმებულთა შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი დასკვნების გამოტანა მე-9 მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში განხორციელდეს კომისიის წევრთა კონსენსუსის (ხუთივე წევრის თანხმობის) გზით.

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე	**ვახტანგ აბაშიძე**
საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრი	**ელისო ასანიძე**
საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრი თავმჯდომარის მოადგილე	**კახი ბექაური**
საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრი	**გიორგი ფრუიძე**
საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრი	**მერაბ ქათამაძე**

დანართი 1

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის 2010 წლის 22 მარტის 144/22 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საშტატო ნუსხით განსაზღვრული პოზიციების და 2016 წლის 27 ოქტომბრის 708/22 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საშტატო ნუსხით განსაზღვრული პოზიციებისა და კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 12 დეკემბრის 6/26 ბრძანებით დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციების შედარებითი ანალიზი

(სარეკომენდაციო სახის სახელმძღვანელო დოკუმენტი)

ახალი საშტატო ნუსხის კადრებით დაკომპლექტების პრინციპი

საშტატო ნუსხის კადრებით დაკომპლექტებისათვის, ატესტაციის პროცესში კომისია ეყრდნობა კადრების შერჩევის როგორც შიდა, ასე გარე წყაროებს. კადრების დაკომპლექტების შიდა წყარო გულისხმობს საშტატო ერთეულების დაკომპლექტებას კომისიაში დასაქმებული პირებით, ხოლო კადრების დაკომპლექტების გარე წყარო გულისხმობს ვაკანტურ პოზიციაზე საჯარო კონკურსის გამოცხადებას და შესაბამისი შერჩევის მეთოდების გამოყენებით კადრებს შერჩევას.

პირველ ეტაპზე კომისია ეყრდნობა კადრების დაკომპლექტების შიდა წყაროს და შეაფასებს კომისიაში დასაქმებულთა შესაბამისობას დაკავებულ პოზიციებთან.

ახალი და მოქმედი საშტატო ნუსხით განსაზაღვრული თანამდებობების შედარების პრინციპი:

რეორგანიზაციის განხორციელებისას მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად მსგავსია ან განსხვავებული მოქმედი და ახალი საშტატო ნუსხით გათვალისწინებული პოზიციები.

ზოგადად, პოზიცია/თანამდებობა/საშტატო ერთეული ხასიათდება შემდეგი ძირითადი მახასიათებლებით:

- ფუნქციები და მოვალეობები, რაც უნდა შესრულდეს აღნიშნულ პოზიციაზე;
- აღნიშნული ფუნქციების შესასრულებლად საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- აღნიშნული ფუნქციების შესასრულებლად საჭირო კომპეტენციები;
- პოზიციის რანგი (ადგილი ორგანიზაციის სტრუქტურაში) და თანამდებობრივი სარგო;

წინამდებარე დოკუმენტი ახალი და მოქმედი საშტატო ნუსხით გათვალისწინებული საშტატო ერთეულების/პოზიციების შედარებისას, პოზიციათა არსებითი მსგავსების ან განსხვავების დადგენის მიზნით, პირველ რიგში ეყრდნობა პოზიციის ფუნქცია-მოვალეობებისა და რანგის, ანუ ორგანიზაციის სტრუქტურაში პოზიციის ადგილის შეფასებას: შესაბამისად, ერთმანეთს შედარდება მოქმედი საშტატო ნუსხით განსაზღვრული თითოეული პოზიციის თანამდებობრივი ინსტრუქცია, რომელიც მოქმედი შრომითი ხელშეკრულებების განუყოფელი ნაწილია, ახალი საშტატო ნუსხით გათვალისწინებული პოზიციების თანამდებობრივ ინსტრუქციებს (დამტკიცებული 2016 წლის 12 დეკემბრის 6/26 ბრძანებით). იმ შემთხვევებში, როდესაც მოქმედი თანამდებობრივი ინსტრუქცია ბუნდოვანია (ან არ არის შემუშავებული კონკრეტული პოზიციისათვის), მოქმედი პოზიციების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით, გამოყენებული იქნება საკონსულტაციო ორგანიზაცია „PMCG" -ის მიერ 2015 წლის ივლის-აგვისტოში ჩატარებული სამუშაოს ანალიზის კითხვარებიდან მიღებული ინფორმაცია.

პოზიციათა შედარების ცხრილი:

მოქმედი საშტაო ნუსხით გათვალისიწნებული პოზიციები (ტექნიკური პოზიციების გარეშე) შედარდა ახალი საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ პოზიციებს.

აღნიშნულ ცხრილში, შედარება ეყრდნობა პოზიციათა ფუნქციათა და რანგების შედარებას, პოზიციის კონკრეტული საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე.

	ახალი სტრუქტურული ერთეულის დასახელება და რაოდენობა	არსებული პოზიციის დასახელება	ახალი პოზიციის დასახელება	შეფასება
1	**ადმინისტრაცია (18)**	ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი (1)	ადმინისტრაციის უფროსი (1)	არსებითად მსგავსია
2	**სამდივნო (6)**	კომისიის თავმჯდომარის მდივანი (1)	კომისიის თავმჯდომარის თანაშემწე. (1)	ნაწილობრივ მსგავსია **მსგავსია:** ორგანიზაციულ - ადმინისტრაციული მხარდაჭერის კუთხით; **განსხვავებულია:** მთარგმნელობითი და თარჯიმნის **ფუნქციებით;** ***რეკომენდირებულია პოზიციის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და კომპეტენციის შეფასება;***
		კომისიის წევრის მდივანი (4)	კომისიის წევრის თანაშემწე (4)	არსებითად მსგავსია
3		ადმინისტრაციის დეპარტამენტის	ოფის- მენეჯერი (1)	არსებითად მსგავსია

		სპეციალისტი თარჯიმანი (1)		
4	**შესყიდვების ჯგუფი (2)**	მთავარი სპეციალისტი (შესყიდვები) (1)	შესყიდვების მთავარი სპეციალისტი (1)	არსებითად მსგავსია
5			შესყიდვების სპეციალისტი (1)	*პოზიცია ახალია*
6	**ადამიანური რესრუსების მართვის (არმ) ჯგუფი (2)**		ადამიანური რესურსის ჯგუფის უფროსი (1)	*პოზიცია ახალია*
7		წამყვანი სპეციალისტი (1) (საკადრო კანცელარია)	არმ ადმინისტრატორი (1)	არსებითად მსგავსია
8	**სკანცელარიო და საოქმო წარმოების ჯგუფი (5)**	მთავარი სპეციალისტი (1) (საოქმო უზრუნველყოფა)	საოქმო და საკანცელარიო საქმის ჯგუფის უფროსი (1)	არსებითად მსგავსია
9		წამყვანი სპეციალისტი (1) (საოქმო უზრუნველყოფა)	საოქმო წარმოების წამყვანი სპეციალისტი (1)	არსებითად მსგავსია
10		წამყვანი სპეციალისტი (3) (კანცელარია)	საკანცელარიო საქმისწარმოების წამყვ. სპეციალისტი (3)	არსებითად მსგავსია
11	**სამეურნეო უზრუნველყოფის ჯგუფი (2)**	მთავარი სპეციალისტი (1)	სამურნეო უზრუნველოფის ჯგუფის უფროსი (1)	არსებითად მსგავსია
12		1.წამყვანი სპეციალისტი; 2. სპეციალისტი 3. მნე	ლოჯისტიკის სპეციალისტი (1)	1.ნაწილობრივ მსგავსია; მსგავსია: ძირითადი ფუნქციებით; განხვავებულია: რანგით (ახალი საშტატო ნუხით ნაკლებია რანგი); *რეკომენდირებულია პოზიციის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და კომპეტენციის შეფასება;* 2.არსებითად მსგავსია 3. ნაწილობრივ მსგავსია მსგავსია: ფუნქციათა ნაწილით; განსხვავებულია: ფუნქციათა ნაწილით და რანგით (მოქმედი საშტატო ნუსხით მნე არის ტექნიკური პოზიცია ფიქსირებული ხელფასით). *რეკომენდირებულია პოზიციის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და კომპეტენციის შეფასება;*
	ადმინისტრაციის არასაშტატო სპეციალისტი (უვადო ხელშეკრულება)		აღნიშნული ფუნქცია არ არის გათვალისწინებული ახალი საშტატო ნუსხით	

	ახალი სტრუქტურული ერთეულის დასახელება და რაოდენობა	არსებული პოზიციის დასახელება	ახალი პოზიციის დასახელება	შეფასება
1	**ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიის დეპარტამენტი (6)**	1.ინფორმაციულ ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი (1) 2.სტრატეეგიული დეპარტამენტის უფროსი. (1)	დეპარტამენტის უფროსი (1)	1.ნაწილობრივ მსგავსია **მსგავსია:** ანალიზისა და მონაცემთა დამუშავების კუთხით; ასევე რანგით. **განსხვავებულია:** სტრატეგიის მართვის კუთით. ***რეკომენდირებულია პოზიციის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და კომპეტენციის შეფასება;*** **2. არ არის მსგავსი**
2		ინფორმაციულ ანალიტიკური დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი (1)	მონაცემთა ხარისხის მართვის სპეციალისტი (1)	არსებითად მსგავსია
3		1.სტრატეგიული დეპარტმენტის მთავარი სპეციალისტი (3) (პროექტების მართვა, სტრატეგია) 2.სტრატეგიული	სტრატეგიის მთ. სპეციალისტი (1)	1.არსებითად მსგავსია 2. არ არის მსგავსი

		დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი (1) (მაუწყებლობა)		(მხოლოდ მაუწყებლობა);
4		1.ინფორმაციულ ანალიტიკური დეპარტამენტის მთ. სპეციალისტი (1) 2. ინფორმაციულ-ანალიტიკური დეპარტამენტის არასამტატო სპეციალისტი (უვადო ხელშეკრულება) (ბაზრის ანალიზი და კონსულტირება);	ბაზრის ანალიზის მთავარი სპეციალისტი (2)	1.არ არის მსგავსი; (ფუნქციებით) 2. არსებითად მსგავსია
5		ინფორმაციულ-ანალიტიკური დეპარტამენტის სპეციალისტი (1)	ბაზრის ანალიზის წამყვანი სპეციალისტი (1)	არ არის მსგავსი არც ფუნქციებით, არც რანგით.

	ახალი სტრუქტურული ერთეულის დასახელება და რაოდენობა	არსებული პოზიციის დასახელება	ახალი პოზიციის დასახელება	შეფასება
1	**აუდიო-ვიზუალური მედია რეგულირების დეპარტამენტი (6)**	1.მაუწყებლობის დეპარტამენტის უფროსი (1)	აუდიო-ვიზუალური მედია რეგულირების დეპარტამენტის უფროსი (1)	არსებითად მსგავსია
2		მაუწყებლობის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი (1)	მონიტორინგის უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტი (1)	არსებითად მსგავსია
3		1.მაუწყებლობის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი (2)	მონიტორინგის წამყვანი სპეცილისტი (2)	1.არსებითად მსგავსია

		(მონიტორინგი) 2.მაუწყებლობის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი (3) (ადმინისტრაციული მხარდაჭერა) 3.მაუწყებლობის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი (1) (ტრანზიტი და ხელშეკრულებების ანალიზი)		2.არსებითად მსგავსია 3.არსებითად მსგავსია
4		მაუწყებლობის დეპარტამენტის სპეციალისტი (1) (ადმინისტრაციული მხარდაჭერა)	მონიტორინგის უზრუნველყოფის სპეციალი სტი (1)	არსებითად მსგავსია
5		1.მაუწყებლობის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი (ტრანზიტი და ხელშეკრულებების ანალიზი) (1) 2.მაუწყებლობის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი (ადმინისტრაციული მხარდაჭერა) (3) 3..მაუწყებლობის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი (2) (მონიტორინგი)	მედია რეგულირების წამყვანი სპეციალისტი (1)	1.არსებითად მსგავსია 2.არსებითად მსგავსია 3.არსებითად მსგავსია

	ახალი სტრუქტურული	არსებული პოზიციის	ახალი პოზიციის დასახელება	შეფასება

12

	ერთეულის დასახელება და რაოდენობა	დასახელება		
1	**რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტი (19)**	რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის უფროსი (1)	რადიოსიხშირული სპექტრის მართვის დეპარტამენტის უფროსი (1)	არსებითად მსგავსია
2	**დაგეგმვის ჯგუფი (5)**	რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი (1) (დაგეგმვა)	დაგეგმვის ჯგუფის უფროსი (1)	არსებითად მსგავსია
3		რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი (1) (პროგრამული უზრუნველყოფა)	ბაზების მართვის წამყვანი სპეციალისტი (1)	არსებითად მსგავსია
4		რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი (1) (დაგეგმვა)	დაგეგმვისა და კოორდინაციის წამყვანი სპეციალისტი (1)	არსებითად მსგავსია
5		რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი (1) (საერთაშორისო კოორდინაცია)	საერთაშორისო კოორდინაციის წამყვანი სპეციალისტი (1)	არსებითად მსგავსია
6		უფროსი ინჟინერი (1)	მონაცემთა დამუშავების სპეციალისტი (1)	ნაწილობრივ მსგავსია **მსგავსია:** მონიტორინგისა და მონიტორინგის საკითხებთან დაკავშირებული ფუნქციებით. **განსხვავებულია:** • სანტიმეტრულ და მილიმეტრულ ტალღათა

				დიაპაზონში მოქმედი ოპერატორების სადგურების ტექნიკური პარამეტრების სისტემატიზაცია; • თანამგზავრული ოპერატორების მიერ წარმოდგენილი მონაცემთა დამუშავება, • ავტორიზებული პირების მიერ ISM დანიშნულებით გამოყენებისთვის გამოყოფილ სიხშირულ დიაპაზონებში მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების დამუშავება; *რეკომენდირებულია პოზიციის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და კომპეტენციის შეფასება* *შენიშვნა: უფროსი ინჟინრის პოზცია ასევე შედარდება მონიტორინგის ჯგუფის წამყვანი ინჟინრის პოზიციას.*
7	**მონიტორინგის ჯგუფი (13)**	მთავარი სპეციალისტი (1) (მ ონიტორინგის ფუნქციის მართვა)	მონიტორინგის ჯგუფის უფროსი (1)	არსებითად მსგავსია
8		მთავარი ინჟინერი (1)	რადიომონიტორინგი ჯგუფის მთავარი ინჟინერი (1)	არსებითად მსგავსია
9		1.მობილური სისტემის უფროსი ინჟინერი (1) (მონიტორინგი) 2.მობილური სისტემის უფროსი ინჟინერი (1) (ანალიზი)	რადიომონიტორინგის ჯგუფის წამყვანი ინჟინერი (1)	1.არსებითად მსგავსია 2.არსებითად მსგავსია *შენიშვნა: აღნიშნული პოზიცია შედარებულია ასევე დაგეგმვის ჯგუფის მონაცემთა დამუშავების სპეციალისტის პოზიციას.*
10		რადიომონიტორინგის მობილური სისტემის ტექნიკოსი (1)	რადიომონიტორინგის უფროსი ტექნიკოსი (1)	არსებითად მსგავსია
11		ინჟინერი (1)	რადიომონიტორინგის ინჟინერი (1)	არსებითად მსგავსია
12		უფროსი ელექტრომექანიკოსი (1)	რადიომონიტორინგის რეგ. სადგურის უფროსი ინჟინერი (1)	არსებითად მსგავსია
13		ელექტრომექანიკოსი (3) (ურთა)	რადიომონიტორინგის რეგიონალური სადგურის ინჟინერი	**ნაწილობრივ მსგავსია** **მსგავსია:** ჩანაწერების გაკეთებასთან დაკავშირებული

			(ურთა) (3)	ფუნქციებით. **განსხვავებულია:** • საპელენგაციო სამუშაოების ჩატარება და მიღებული შედეგების მეშვეობით რადიო სიგნალების პარამეტრების განსაზღვრა და ანალიზი; • რადიოსიხშირული სპექტრში ელექტრომაგნიტური ვითარების კვლევა, • არალიცენზირებული რადიოგადამცემი საშუალებების გამოვლენა, რადიო ეთერში წარმოქმნილი პარაზიტული გამოსხივების წყაროების დადგენა და მათი ხელის შემშლელი ზეგავლენის აღკვეთა; *რეკომენდირებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და კომპეტენციის შეფასება*
14		ელექტრომექანიკოსი (3)	რადიომონიტორინგის სტაციონარული სადგურის ინჟინერი (3) (შავნაბადა)	არსებითად მსგავსია
15		რადიომონიტორინგის სტაციონარული სადგურის ტექნიკორი (1)	რადიომონიტორინგის სისტემის ტექნიკოსი (1)	არსებითად მსგავსია

	ახალი სტრუქტურული ერთეულის დასახელება და რაოდენობა	არსებული პოზიციის დასახელება	ახალი პოზიციის დასახელება	შეფასება
1	**საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი (3)**	პრესმდივანი (1)	დეპარტამენტის უფროსი (1)	არ არის მსგავსი; *პოზიცია ახალია*
2		პრესმიდივანი (1)	მედიასთან ურთიერთობის მთ. სპეციალისტი (1)	არსებითად მსგავსია;

3		ინფორმაციულ-ანალიტიკური დეპ. სპეციალისტი (წლიური ანგარიში) (1)	ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელების მართვის სპეციალისტი (1)	ნაწილობრივ მსგავსია **მსგავსია:** წლიური ანგარიშის, ღონისძიების მომზადების, ბეჭდურ მედიასთან ურთიერთობის კუთხით: მსგავსია ასევე რანგით. **განსხვავებულია:** სოციალური ქსელებისა და ვებ-გვერდრის მართვის, მომხმარებელთა კმაყოფილების დონისა და მოლოდინების ანალიზის კუთხით; ***რეკომენდირებულია პოზიციის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და კომპეტენციის შეფასება;***

	ახალი სტრუქტურული ერთეულის დასახელება და რაოდენობა	არსებული პოზიციის დასახელება	ახალი პოზიციის დასახელება	შეფასება
1	სამართლებრივი დეპარტამენტი (7)	სამართლებრივი დეპარტამენტის უფროსი (1)	დეპარტამენტის უფროსი (1)	არსებითად მსგავსია
2		მთ. სპეციალსიტი 4	მთ. სპეციალისტი (4)	არსებითად მსგავსია
3		სპეციალისტი (1) არასაშტატო სპეციალისტი (1)	სპეციალისტი (2)	არსებითად მსგავსია

	ახალი სტრუქტურული ერთეულის დასახელება და	არსებული პოზიციის დასახელება	ახალი პოზიციის დასახელება	შეფასება

	რაოდენობა			
1	**სატელეკომუნიკაციო ბაზრის**	დეპარტამენტის უფროსი (1)	დეპარტამენტის უფროსი (1)	არსებითად მსგავსია
2	**რეგულირების დეპარტამენტი (4)**	აუდიტორი (1)	მომსახურების დანახარჯთა და ტარიფის დადგენის მთავარი სპეციალისტი (1)	არსებითად მსგავსია
3		კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი (3) ა) ეკონომიკური ანალიზი; ბ)ანალიტიკური და ადმინისტრაციული მხარდაჭერა გ) ტექნიკური ანალიზი;	ბაზრის ანალიზისა და კვლევის მთავარი სპეციალისტი (2)	არსებითად მსგავსია სამივე მთავარი სპეციალისტის პოზიცია არსებითად მსგავსია.
	შედარდა მოქმედი კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტს (5)			**შენიშვნა:** *გ) ტექნიკური ანალიზით დაკავებული მთავარი სპეციალისტის ფუნქციები მსგავსია ასევე სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის ინფასტრუქტურისა და ქსელების მართვის მთავარი სპეციალისტის პოზიციის.*

	ახალი სტრუქტურული ერთეულის დასახელება და რაოდენობა	არსებული პოზიციის დასახელება	ახალი პოზიციის დასახელება	შეფასება
1	**სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა**		დეპარტამენტის უფროსი (1)	*პოზიცია ახალია*
2	**და ტექნოლოგიების დეპარტამენტი (4)**	1.კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის მთ სპეციალისტი (ტექნიკური ანალიზი) (1) 2. სტრატეგიული დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი (ტექნიკური	ქსელებისა და ინფრასტრუქტურის მთავარი სპეციალისტი (1)	1.არსებითად მსგავსია 2. არ არის მსგავსი *როგორც ფუნქციებით, ისე რანგით.*

		კონსულტირება) (1)		*შენშვნა: აღნიშნული პოზიცია (სტრატეგიული დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი) ასევე შედარდება საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის სამსახურის პროექტების მართვის მთავარი სპეციალისტის ფუნქციებს.*
3		ინფორმაციულ- ანალიტიკური დეპარტმენის წამყვანი სპეციალისტი (სერთიფიცირება) (1)	სტანდარტიზაციისა და სერტიფიცირების წამყვანი სპეციალისტი (1)	არსებითად მსგავსია
4		ადმნისტრაციული დეპარტმენტის მთავარი სპეციალისტი (1)	ნუმერაციის რესურის მართვის მთავარი სპეციალისტი (1)	არსებითად მსგავსია

	ახალი სტრუქტურული ერთეულის დასახელება და რაოდენობა	არსებული პოზიციის დასახელება	ახალი პოზიციის დასახელება	შეფასება
1	**ლიცენზირება, ავტორიზაცია ნებართვების დეპარტამენტი (3)**	ადმინსიტრაციის მთავარი სპეციალისტი (1)	დეპარტამენტის უფროსი (1)	**ნაწილობრივ მსგავსია** **მსგავსია:** ავტორიზაცია, ლიცენზირება ნებართვების მართვასთან დაკავშირებული ძირითადი ფუნქციებით. **განსხვავებულია:** რანგით და მენეჯერული ფუნქციებით; სამოყვარულო, საზღვარო-სანაოსნო სიხშირეთა მინიჭებების შეახებ ადმინისტრაციული წარმოების კუთხით. ***რეკომენდირებულია პოზიციის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და კომპეტენციის შეფასება***
2		ადმინისტრაციის მთ. სპეციალისტი (1) (რეესტრი)	ავტორიზაციის და ლიცენზირების მთავარი სპეციალისტი (1)	არსებითად მსგავსია
3		სიხშირეების	სიხშირული ნებართვების	არსებითად მსგავსია

		დეპარტამენტის სპეციალისტი (1) (სიხშირეების რეესტრი)	სპეციალისტი (1)	

	ახალი სტრუქტურული ერთეულის დასახელება და რაოდენობა	არსებული პოზიციის დასახელება	ახალი პოზიციის დასახელება	შეფასება
1	**ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური (4)**	საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი (პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა) (1)	სამსახურის უფროსი (1)	მსგავსია ნაწილობრივ **მსგავსია:** პროგრამული უზრუნველყოფის/უზრუნველყოფების შექმნა- განვითარების კუთხით. **განსხვავებულია:** რანგით და მენეჯერული ფუნქციებით, ასევე ქსელური ინფრასტრუქტურის მართვასთან დაკავშირებული ფუნქციებით. *რეკომენდირებულია პოზიციის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და კომპეტენციის შეფასება;*
2		ინფორმაციულ ანალიტიკური დეპ არასაშტატო სპეციალისტი (უვადო ხელშეკრულება) (1)	მთავარი პროგრამისტი (1)	არსებითად მსგავსია
3		ინფორმაციულ- ანალიტიკური დეპარტამენტის სპეციალისტი (1)	პროგრამისტი (1)	არსებითად მსგავსია
4		ადმინისტრაციული დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი (ქსელური	ქსელური ინფრასტრუქტურის წამყვანი სპეციალისტი (1)	არსებითად მსგავსია

		ინფრარსტრუქტურის მართვა) (1)		

	ახალი სტრუქტურული ერთეულის დასახელება და რაოდენობა	არსებული პოზიციის დასახელება	ახალი პოზიციის დასახელება	შეფასება
1	**საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის სამსახური (3)**	სტრატეგიული დეპარტამენტის უფროსი (1)	საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტებისს მართვის სამსახურის უფროსი (1)	არსებითად მსგავსია; *შენიშვნა: სტრატეგიული დეპარტამენტის უფროსის ფუნქციები შედარებულია ასევე ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიის დეპარტამენტის უფროსის ფუნქციებს.*
2	შედარებულია სტრატეგიული დეპ. მოქმედ საშტატო ერთეულებთან	1.სტრატეგიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი (პროექტების მართვა, სტრატეგია) (3) 2.სტრატეგიული დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი	პროექტების მართვის მთავარი სპეციალისტი (1)	1.არსებითად მსგავსია (დარჩენილი ფუნქციებით- სტრატეგიული ფუნქციების გარდა) *შენიშვნა: სტრატეგიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტების (3) პოზიციები შედარდა ასევე ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიის დეპარტამენტის სტრატეგიის მთავარი სპეციალისტის პოზიციას.* 2. არ არის მსგავსი. *შენიშვნა: სტრატეგიული დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტის ფუნქციები ასევე შედარებულია ქსელებისა და*

		(ტექნიკური კონსულტირება) (1)		*ინფრასტრუქტურის მთავარი სპეციალისტის პოზიციას.*
3		1.სტრატეგიული დეპარტამენტის მთ. სპეციალისტი (1) *(საერთაშორისო ურთიერთობები)* 2.სტრატეგიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი (პროექტების მართვა, სტრატეგია) (3)	საერთაშიროსი ურთიერთობების მთ. სპეციალისტი (1)	არსებითად მსგავსია ნაწილობრივ მსგავსია ***რეკომენდირებულია პოზიციის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და კომპეტენციის შეფასება***

	ახალი სტრუქტურული ერთეულის დასახელება და რაოდენობა	არსებული პოზიციის დასახელება	ახალი პოზიციის დასახელება	შეფასება
1	**საფინანსო - საბიუჯეტო სამსახური (2)**	დეპარტამენტის უფროსი (1) მთავარი ბუღალტერი (1)	სამსახურის უფროსი (1)	1. არსებითად მსგავსია 2. ნაწილობრივ მსგავსია *მსგავსია: ფუნქციები მსგავსია, განსხვავებულია: რანგი;*
2		საფინანსო დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი (1)	წამყვანი სპეციალისტი (1)	არსებითად მსგავსია

3		საფინანსო სამსახურის არასაშტატო სპეციალისტი (1) (უვადო ხელშეკრულება) (ბიუჯეტირება, კონსულტირება)		აღნიშნული პოზიცია აღარ არის გათვალისწინებული ახალი საშტატო ნუსხით.

	ახალი სტრუქტურული ერთეულის დასახელება და რაოდენობა	არსებული პოზიციის დასახელება	ახალი პოზიციის დასახელება	შეფასება
1	**შიდა აუდიტის სამსახური (2)**		სამსახურის უფროსი (1)	ახალი პოზიცია
2			აუდიტორი (1)	ახალი პოზიცია

	ახალი სტრუქტურული ერთეულის დასახელება და რაოდენობა	არსებული პოზიციის დასახელება	ახალი პოზიციის დასახელება	შეფასება
	მომხმარებელთა უფლებების დამცველი საზოგადოებრივი აპარატის არასაშტატო დასაქმებული (უვადო ხელშეკრულება)		აღნიშნული ფუნქცია არ არის გათვალისწინებული ახალი საშტატო ნუსხით	

22

გასაუბრების ეტაპის შემაჯამებელი ფორმა

დასაქმებულის სახელი და გვარი:
დაკავებული თანამდებობა (მოქმედი საშტატო ნუსხით):
სსკ დამსწრე წევრთა რაოდენობა:

#	კომპონენტები	შეფასებების ჯამი
1	დასაქმებულის პროფესიონალიზმი	
2	სამუშაოს მოცულობა და ხარისხი	
3	საიმედოობა/კეთილსინდისიერება	
4	ორგანიზებულობა	
5	კომუნიკაცია და თანამშრომლობა	
6	მოტივაცია	
7	წარმოდგენილი თვითანგარიში	
8	სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მსჯელობა უშუალო დაქვემდებარებულის შეფასებისას	
	შეფასებების ჯამის საშუალო შემფასებლების რაოდენობის მიხედვით (დადებითად შეფასებული დასაქმებულის საშუალო ქულა y_1)	

<u>დასაქმებული შეფასებულია დადებითად</u>

შეფასებულია დადებითად (რაოდენობა)	შეფასებულია უარყოფითად (რაოდენობა)	დადებითად შეფასებული დასაქმებულის საშუალო ქულა	კონვერტირებული ქულა	ატესტაციის მეორე ეტაპის ქულა x 0.6

	ხელმოწერა	თარიღი
1) საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე /ვახტანგ აბაშიძე/	_____	____-დეკ-2016
2) საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრი /კახი ბექაური/	_____	____-დეკ-2016
3) საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრი /მერაბ ქათამაძე/	_____	____-დეკ-2016
4) საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრი /გიორგი ფრუიძე/	_____	____-დეკ-2016
5) საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრი /ელისო ასანიძე/	_____	____-დეკ-2016
დასაქმებულის ხელმოწერა (გავეცანი)	_____	____-დეკ-2016

გასაუბრების ეტაპის შემაჯამებელი ფორმა

დასაქმებულის სახელი და გვარი:
დაკავებული თანამდებობა (მოქმედი საშტატო ნუსხით):
სსკ დამსწრე წევრთა რაოდენობა:

#	კომპონენტები	შეფასებების ჯამი
1	დასაქმებულის პროფესიონალიზმი	-
2	სამუშაოს მოცულობა და ხარისხი	-
3	საიმედოობა/კეთილსინდისიერება	-
4	ორგანიზებულობა	-
5	კომუნიკაცია და თანამშრომლობა	-
6	მოტივაცია	-
7	წარმოდგენილი თვითანგარიში	-
8	სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მსჯელობა უშუალო დაქვემდებარებულის შეფასებისას	-
	შეფასებების ჯამის საშუალო შემფასებლების რაოდენობის მიხედვით (დადებითად შეფასებული დასაქმებულის საშუალო ქულა y_1)	-

<u>დასაქმებული შეფასებულია უარყოფითად</u>

შეფასებულია დადებითად (რაოდენობა)	შეფასებულია უარყოფითად (რაოდენობა)	დადებითად შეფასებული დასაქმებულის საშუალო ქულა	კონვერტირებული ქულა	ატესტაციის მეორე ეტაპის ქულა x 0.6
		-	-	-

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დამსწრე წევრთა უმრავლესობის მიერ დასაქმებულის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში, თითოეული დამსწრე წევრის მიერ გასაუბრების ეტაპზე დაწერილი ქულები არ შეჯამდება და არ აისახება ამ შემაჯამებელ ფორმაში.

	ხელმოწერა	თარიღი
1) საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე /ვახტანგ აბაშიძე/	_____	____-დეკ-2016
2) საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრი /კახი ბექაური/	_____	____-დეკ-2016
3) საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრი /მერაბ ქათამაძე/	_____	____-დეკ-2016
4) საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრი /გიორგი ფრუიძე/	_____	____-დეკ-2016
5) საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრი /ელისო ასანიძე/	_____	____-დეკ-2016

დასაქმებულის ხელმოწერა ____-დეკ-2016

დანართი 3

გასაუბრების ეტაპის შემაჯამებელი ფორმა

1. გასაუბრების ეტაპის შემაჯამებელი ფორმა წარმოადგენს ატესტაციის წესის დანართი 3-ის „ფორმა ა“ და „ფორმა ბ“-სა და კომისიის აპარატში მიმდინარე ორგანიზაციულ ცვლილებებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების მე-5 მუხლის მე-7 პუნქტისა და მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით შემუშავებულ გასაუბრების ეტაპის შემაჯამებელ ფორმას.

2. გასაუბრების ეტაპის შემაჯამებელი ფორმის გენერირება ხორციელდება ელექტრონულად სპეციალურად შემუშავებული პროგრამის მიხედვით.

4. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თითოეული დამსწრე წევრი, პერსონალური კომპიუტერიდან, საკუთარი პაროლით, შედის პროგრამაში და დასაქმებულს აფასებს ინდივიდუალურად, ატესტაციის წესის დანართი 3-ის ფორმა „ა“ ან ფორმა „ბ“-ს ელექტრონული ვერსიის მიხედვით.

5. ატესტაციის წესის დანართი 3-ის ფორმა „ა და ფორმა „ბ“-ში გათვალისწინებულია განსაზღვრული კომპონენტების მიხედვით დასაქმებულის შეფასება. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თითოეული წევრის მიერ თითოეულ კომპონენტში მიჭებულ ქულას პროგრამა აჯამებს გასაუბრების ეტაპის შემაჯამებელ ფორმაში. შესაბამისად, ფორმაში ჩანს წევრების მიერ თითოეული კომპონენტის მიერ განხორციელებული შეფასებების ჯამი. აღნიშნული შეფასებების ჯამს, პროგრამა ყოფს შემფასებელთა რაოდენობაზე დადებითად შეფასებული დასაქმებულის საშუალო (y1) ქულის მისაღებად. y1 კონვერტირდება და მრავლდება ატესტაციის წესით განსაზღვრულ წონაზე.

6. გასაუბრების ეტაპის შემაჯამებელი ფორმა იბეჭდება 2 იდენტურ ორიგინალად და მას ხელს აწერენ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრები. აღნიშნული ფორმა გასაუბრების არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა ხელმისაწვდომი იქნება შესაბამისი დასაქმებულისთვის.